პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 151 (18393) — სამშაბათი, 29 ივნისი, 1982 წელი — ფასი 3 კაპ.

ერთობლივი კვლევა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 27 ივნისი, (საკდები). მეორე დღეა „სალუტ-7“, — „სოიუზ ტ-5“ „სოიუზ ტ-6“ ორბიტულ კომპლექსში ერთობლივ სამუშაოებს ასრულებენ კოსმონავტები ანატოლი ბერეზოვოი, ვალენტინ ლებედევი, ვლადიმერ ჯანიბეკოვი, ალექსანდრე ივანჩენკოვი და ჟან-ლუ კრეტიენი.

დღეს საერთაშორისო ეკიპაჟი განაგრძობს სამედიცინო კვლევას უწონობის პირობებში ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, კოსმონავტები ახორციელებენ ექსპერიმენტების „ექოგრაფიისა“ და „პოზის“ კიდევ ერთ ციკლს, ამოწმებენ მხედველობის სიმახვილესა და სიღრმეს, მხედველობითი ანალიზატორის მგრძნობიარობას. უწონობის პირობებში სისხლის მიმოქცევის ნორმალიზაციის შესწავლის მიზნით წვევის ექსპედიციის ეკიპაჟი იყენებს სპეციალურად შემუშავებულ პროფილაქტიკურ მოწყობილობას — „სამაჯურს“.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამით დღეს ხორციელდება ექსპერიმენტი „დაკალიბრება“, მისი არსია მუშაობის სხვადასხვა რეჟიმში ელექტროსახურებელი ღუმლის ტემპერატურული ველის განსაზღვრა და ამავე დროს სადგურის ღერძზე მოქმედ მიკროაჩქარებათა სიდიდეების რეგისტრაცია.

დღის განრიგი ითვალისწინებს ერთობლივი საქმიანობის კინო- და ფოტოგადაღებებს. სატელევიზიო რეპორტაჟს მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით და ეკიპაჟის მოხსენებებით, სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

ანატოლი ბერეზოვოი, ვალენტინ ლებედევი, ვლადიმერ ჯანიბეკოვი, ალექსანდრე ივანჩენკოვი და ჟან-ლუ კრეტიენი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ფრენის პროგრამა წარმატებით სრულდება.

ხალხის მაღალი ნდობა

[illegible]

ჯოები განახახიერებენ ტერიტორიული და დარგობრივი მართვის ერთიანობას, ხოლო მეორე მხრივ, ისინი პასუხს აგებენ როგორც წარმოების განვითარებისათვის, ისე ადამიანთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

„ძირითადი, რასაც ახლა უნდა მოახმარონ თავიანთი მეცადინეობა საბჭოებმა, — თქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ის არის, რომ უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა, საგეგმო დავალებათა შეუსრულებლად ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაობის დონის ამაღლება. შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა მშენებლობისა და დროული ამოქმედების კონტროლი. დიდი და შედეგიანი საქმეა დახმარება პირად დამხმარე მეურნეობათა, მებაღეობის კოლექტივთა, ფაბრიკა-ქარხნების დამხმარე მეურნეობათა განვითარებაში“.

ერთი სიტყვით, ხალხის რჩეულთ საქმიანობის ფართო ასპარეზი აქვთ. მათ უნდა იზრუნონ აგრეთვე სოფლის გარდაქმნის, აქ ბინების, გზების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების, მაღაზიების მშენებლობის უდიდესი პროგრამის განხორციელებისათვის. ჩვენი ცხოვრების თითოეულ უბანზე რაც შეიძლება სრულად უნდა იგრძნობოდეს საბჭოების უდიდესი როლი.

ადგილობრივ საბჭოებში არჩეულ დეპუტატთა შემადგენლობა დამაჯერებლად მოწმობს მათს ჭეშმარიტად სახალხო ხასიათს,

ПРАВДА

28 ივნისის მოწინავე

[illegible]

გასულმა არჩევნებმა ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხი მთლიანად იწონებს და ერთსულოვნად უჭერს მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ XXVI ყრილობაზე შემუშავებულ 80-იანი წლების მშვიდობის პროგრამას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისადმი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაგზავნილ წერილში, მის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს.

ალმშენებლობა და მშვიდობა — აი საბჭოთა ადამიანების საქმიანობის, მათი მისწრაფებებისა და გეგმების მთავარი აზრი. ყოველ შრომით წარმატებას, ამ გეგმებისა და ჩანაფიქრების განხორციელების გზაზე გადადგმულ ყოველ ჩვენს ნაბიჯს ვუკავშირებთ მშობლიური პარტიის მრავალმხრივ საქმიანობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი გულდაჯერებით მიიწევს კომუნისტური მშენებლობის ახალი მწვერვალებისაკენ.

ნახევარი წლის გეგმა — ვადამდე

საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე შეასრულეს 1982 წლის პირველი ნახევრის გეგმა ბევრი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების მოცულობის მიხედვით. (საქინფორმი).

ორდენი ობსერვატორიის დროშაზე

[illegible]

განა დედამიწის შესწავლა არ არის გალაქტიკის წარმოქმნის კანონზომიერებათა შეცნობა? ასე რომ, დღეს ასტრონომები, როცა ტელესკოპებს მიმართავენ ცისკენ და მზეს ან სხვა რომელიმე შორეულ ვარსკვლავს თუ გალაქტიკას უმიზნებენ მას, სამყაროს, მაშასადამე, ერთ-ერთი მისი პლანეტის — დედამიწის განვითარების კანონზომიერებებს სწავლობენ.

[illegible]

შექმნილია ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის ყველა პირობა.

ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე აბასთუმნის ობსერვატორია გადაიქცა ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო ცენტრად, სადაც წარმოებს და — ფრიად წარმატებითაც — სხვადასხვა პრობლემის უმნიშვნელოვანესი კვლევა.

[illegible]

მშობლოს საპატიო ჯილდოს გადასაცემად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. მასთან ერთად ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გი-

[illegible]

პრეზიდენტის ე. კ. ხარაძის თანხლებით დაათვალიერეს ეს სამეცნიერო დაწესებულება, ესაუბრნენ მის თანამშრომლებს, გამოიკითხეს, თუ როგორია მათი შრომისა და ყოფის პირობები.

საზეიმო სხდომა გახსნა ე. კ. ხარაძემ.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს ერთ-ერთ უნიკალურსა და ულამაზეს კუთხეს — აბასთუმანს ახსოვს უთვალავი მზიანი დღე და ვარსკვლავიანი ღამე. დღეს ჩვენ დავრწმუნდით ამაში, რამდენი ვარსკვლავიანი ღამე ახსოვს აბასთუმნის ობსერვატორიას.

[illegible]

ყო, მაგრამ ეს სურვილები სურვილებად დარჩა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო დადებითად გადაეწყვიტა ყოფილ განაპირა მხარეებში — მოკავშირე რესპუბლიკებში — მსხვილი სამეცნიერო დაწესებულებებისა და ცენტრების შექმნის პრობლემა.

[illegible]

სამამულო ტელესკოპის დამზადება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ტელესკოპმშენებლობას. მას, როგორც სანუკვარ რელიკვიას, ისე უფრთხილდება დღეს თქვენი კოლექტივი. ამით ხომ გამოიხატა ლენინგრადელი ასტრონომების ჭეშმარიტად ძმური, მეგობრული დამოკიდებულება აბასთუმნის ობსერვატორიის

[illegible]

ჩვენ ხომ სულ მალე აღვნიშნავთ საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავსა და გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავს:

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ასტრონომიულ დაწესებულებებთან მტკიცე შემოქმედებითი თანამშრომლობის ვითარებაში, პარტიისა და მთავრობის ყურადღების, მთელი საზოგადოების

[illegible]

მარიოს ალბათ თავიდან დაამთავროს. ...

ატმოსფერული რეჟიმის მახასიათებლებით აბასთუმანმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციანიან წლებში მიიპყრო ცნობილი რუსი სპეციალისტების ყურადღება. ბევრი მათგანი აბასთუმანს მიიჩნევდა ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად და მოუწოდებდა აქ აეშენებინათ დიდი ასტრონომიული ობსერვატორია. რუსეთის მოწინავე სამეცნიერო საზოგადოებამ ობსერვატორიის შესაქმნელად ფულადი სახსრების შეგროვებაც კი დაიწყო,

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების მთელი ნახევარსაუკუნოვანი გზა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობის, წამყვანი სამეცნიერო ცენტრების ურთიერთგავლენისა და ურთიერთგამდიდრების ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

მაგალითად, ლენინგრადის ასტრონომიის ინსტიტუტში 1932 წელს დამთავრდა აბასთუმნის ობსერვატორიისათვის პირველი

[illegible]

ნის პირველი ასტრონომები მიხეილ ვაშაკიძე და შალვა გორდელაძე, რომლებიც შემდგომში მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები გახდნენ. ლენინგრადის სკოლა აქვს გავლილი აბასთუმნის ობსერვატორიის სახელოვან ორგანიზატორსა და უცვლელ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ევგენი ხარაძეს.

ყოველივე ამის გახსენება განსაკუთრებით სასიამოვნოა დღეს,

[illegible]

ობით მიღებულ მონაცემებთან კავშირით ხორციელდება.

შეისწავლება აგრეთვე ობსერვატორიაში დამუშავებული ატმოსფეროს ზონდირების ზინდური მეთოდით დედამიწის ატმოსფეროს მაღალი ფენებისა და დედამიწის ახლო კოსმოსური სივრცის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები (მეცნიერებათა დოქტორები თამარ მეგრელიშვილი, ლუიზა ფიშკოვა). სიზუსტისა და ერთგვა-

(დასასრული მე-2 გვ.).

აღვზარდოთ მტკიცე პატრიოტ-ინტერნაციონალისტები

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენი კონფერენცია მიმდინარეობს შესანიშნავი იუბილეს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის წინ. კარგია, რომ ჩინებული ლენინური ტრადიციისამებრ თქვენ განზრახული გაქვთ მთელი ყურადღება მოახმაროთ მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ეროვნული ურთიერთობის განვითარების გა-

[illegible]

ძალიან კარგია, რომ თქვენ ყურადღების ცენტრში გექნებათ პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები. ეს პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება, საიუბილეო წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმების შესრულება, სამშობლოს ძლიერების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ყოველმხრივი განმტკიცება, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისათვის საბრძოლველად მზადყოფნა — აი, რით მოწმდება სსრ კავშირის მოქალაქის უნარი — მოიხადოს თავისი პატრიოტული ვალი, გამოიჩინოს ნამდვილი ინტერნაციონალიზმი.

გისურვებთ თქვენ და კონფერენციის საზღვარგარეთელ სტუმრებს წარმატებულ მუშაობას, დიდ შემოქმედებითს მიღწევებს.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ხალხთა მეგობრობის უდიდესი ალმშენებლობითი ძალა

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

რიგა, 28 ივნისი. (საკდები).

[illegible]

დაიწყო საბჭოთა ლატვიის დედაქალაქში.

კონფერენციაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები, პარტიის მთელი რიგი საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, მთელი რიგი საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები და თავმჯდომარეთა მოადგილეები,

საბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალური კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკები, თვალსაჩინო მეცნიერები, სამინისტროებისა და უწყებების, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების მოწინავენი, აგრეთვე საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების კომუნის-

(დასასრული მე-2 გვ.)

მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა მიმართვა

საქართველოს ყველა მევენახისა და ღვინის მრეწველობის მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს, როდესაც მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მშრომელებს გაჩაღებული აქვთ დიდი მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის

[illegible]

სარჩენად ზოგან ორგანიზებულობა და დისციპლინა, ვაჟკაცური შემართება და პატრიოტული გრძნობა არ გამოიჩინეს და ამის გამო მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს.

[illegible]

ნარჩუნების საქმეში. ადგილზე ჩატარებული შემოწმებები მოწმობს, რომ ზოგან ჯერ კიდევ ვერ ალიქვეს სწორად მევენახეობაში შექმნილი სიძნელეები. უფრო მეტიც, ზოგიერთი ხელმძღ-

[illegible]

თავეში არ უდგანან ყურძნის მოსავლის გადარჩენისათვის საყოველთაო ბრძოლის საქმეს, ზოგან ვენახებში სამუშაოდ არათუ შრომის უნარმოკლებული პენსიონერები და მოზარდები, არამედ მეურნეობათა მუდმივი მუშები და კოლმეურნეებიც კი არ გამოდიან, ხოლო ბევრგან ვენახებში მუშაობას უკვე შუადღისას ამთავრებენ.

მევენახეობაში კვლავ საგანგებო სიძნელეები იქმნება და იგი ახალი სერიოზული გამოცდის წინაშე აყენებს არა მარტო მევენახეებს, არამედ სოფლის ყველა მშრომელს. ყურძნის მოსავლის ბედი ამ დღეებში წყდება. მთავარია თავიდან ავიცილოთ სოკოვანი დაავადებების მასობრივი გავრცელება.

მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკ-

[illegible]

მიმართვა მიიღებულ საქართველოს მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე.

ორდენი ობსერვატორიის დროშაზე

(დასასრული)

რონების თვალსაზრისით მეტად მაღალ დონემდე განავითარა მეცნიერებათა დოქტორმა რაისა ბართაიამ ვარსკვლავთა ეგრეთ წოდებული ორპარამეტრიანი სპექტრული კლასიფიკაციის მეთოდი, რამაც ობსერვატორია ამ დარგის მოწინავე დაწესებულებად აქცია საბჭოთა კავშირში.

აქტიურ თეორიულ კვლევას ეწევა კოსმოსური პლაზმის ფიზიკაში მკვლევართა ჯგუფი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ჯუმბერ ლომინაძის და მეცნიერებათა დოქტორის ავთანდილ პატარაიას ხელმძღვანელობით. ობსერვატორიის ვეტერანები, რომელნიც 35 წელზე მეტია თითქმის, რაც უწყვეტლივ მუშაობენ ყანობილის მთაზე (მეცნიერებათა კანდიდატები ივანე ალანია, მადონა დოლიძე, იაკობ ქუმსიშვილი, დოცენტები ნელი კალანდაძე, ნინო მალალაშვილი, ვიქტორ ჯაფიაშვილი), ნაყოფიერად იკვლევენ ცვალებად და არასტაციონარულ ვარსკვლავებს, რაც ვარსკვლავთა ევოლუციის მნიშვნელოვანი პრობლემის შესწავლას ემსახურება.

აბასთუმნის ობსერვატორიას ეკუთვნის ახალი მოვლენებისა და ობიექტების აღმოჩენები: ახალი და ზეახალი ვარსკვლავებისა, კომეტების და მცირე ცთომილებისა, განსაკუთრებული ტიპების ვარსკვლავებისა, პლანეტმსგავსი ნისლეულებისა, გალაქტიკური ვარსკვლავთგროვებისა და სხვა.

აბასთუმნის ობსერვატორია მუდამ ეხმაურება ნაყოფიერი მონაწილეობით აქტუალურ საკავშირო და საერთაშორისო წამოწყებებს, რომელთაც ფართო მნიშვნელობა აქვს. ასეთები იყო „საერთაშორისო გეოფიზიკური წელიწადი" და „მშვიდი მზის წელიწადი", ამჟამად არის მრავალმხრივი თანამშრომლობა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებთან „ვარსკვლავთა ფიზიკისა და ევოლუციის დარგში", სპეციალური დაკვირვებები ხელოვნურ კოსმოსურ ობიექტებზე და სხვა. მონაწილეობა ამ დარგში აღნიშნულია საკავშირო სახელმწიფო პრემიით (დოცენტი როლან კილაძე).

საერთაშორისო ასტრონომიის მეცნიერებაში აბასთუმნის ობსერვატორიის მიერ შეტანილი წვლილის აღიარებას ნიშნავს ის ფაქტი, რომ მთვარის უკანა მხარის ერთ-ერთ კრატერს საერთაშორისო ასტრონომიულმა კავშირმა პროფესორ მიხეილ ვაშაკიძის სახელი მიაკუთვნა, რომ ბატონი ევგენი ხარაძე ასტრონომთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტია.

ფართო შემოქმედებითი კავშირურთიერთობა აქვს ობსერვატორიას საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის, კერძოდ სოციალისტური ქვეყნების ასტრონომიულ ცენტრებთან. კოოპერირებულ მუშაობას ეწევა იგი უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიასთან, სომხეთისა და ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიების ასტროფიზიკურ ობსერვატორიებთან და სხვებთან. ჩვენ, თქვენი სტუმრები, დღეს დავრწმუნდით, თუ რაოდენ სასარგებლოა ასეთი თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრთან.

ობსერვატორიაში დაგროვილია დიდძალი დამზერითი მასალები, ათეულ ათასობით ასტრონომიული ფოტონეგატივი, ათასობით სპექტროგრამა, ასიათასობით მზის ფოტოკადრი, რამდენიმე ათეული ათასი ელექტროფოტომეტრიული გაზომვა. ეს მასალები უძვირფასეს საფუძველს შეადგენს როგორც დღევანდელი, ისე მომავალი კვლევისათვის. ძირითადად ამ მასალებზე არის აგებული ის შრომებიც, რომლებიც შესრულდა ობსერვატორიაში 1937-1982 წლებში და ობსერვატორიის შრომების სახით, როგორც ამხანაგებმა გვითხრეს, 54-ჯერ გამოიცა ადგილზე, ხოლო სპეციალური ატლასისა და მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, ინგლისის ასტრონომიულ პერიოდიკაში, მთელ რიგ საერთაშორისო ასტრონომიულ გამოცემებში.

ქართველ ასტრონომთა მოღვაწეობის დიდ ასპარეზზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ობსერვატორია თავისი შრომებისა და შედეგების ფართო გაცვლას აწარმოებს ჩვენი პლანეტის 300-ზე მეტ ასტრონომიულ და სხვა მონათესავე სამეცნიერო დაწესებულებებთან. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების თუ სამეცნიერო სკოლების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ობსერვატორიის 55 მეცნიერმა და თანამშრომელმა.

ქართული ობსერვატორიის წარმატებები არაერთხელ აღინიშნა საზღვარგარეთულ პრესაში.

ობსერვატორიას მტკიცე სასწავლო-სამეცნიერო კავშირი აერთიანებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრასთან, სადაც წარმოებს ასტრონომიის სპეციალისტების მომზადება, ასევე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. ამავე დროს ობსერვატორია არის ბაზა სტუდენტთა პრაქტიკის გასავლელად არა მარტო თბილისის, არამედ მოსკოვის, ურალის, ოდესის, ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და სხვა უნივერსიტეტებისათვის.

ობსერვატორია საგანმანათლებლო მუშაობასაც ეწევა. და ძალიან მნიშვნელოვანსაც. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მან მიიღო 1600-ზე მეტი ექსკურსია ათიათასობით დამთვალიერებლის მონაწილეობით. როგორც შევიტყვე, ისინი გარკვეულ პრობლემებსაც კი გიქმნიან თქვენ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აბასთუმნის ობსერვატორია დღეს არა მარტო სამეცნიერო, არამედ მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია, რომლის ფუნქციონირებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი რეგიონის სოციალური ცხოვრებისათვის, ჩვენი მესხეთისათვის, სამხრეთ საქართველოსათვის და რა თქმა უნდა, მთლიანად საქართველოსათვის.

ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის იმ კუთხეში, სადაც მრავალი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები სახლობენ, ობსერვატორიის კოლექტივი ინტერნაციონალური თანამეგობრობისა და ინტერნაციონალურ და პატრიოტულ აღზრდაში მონაწილეობის შესანიშნავ მაგალითს იძლევა.

აბასთუმნის ობსერვატორიის ყველა წარმატება, საკავშირო და საერთაშორისო აღიარება უდავოდ დაკავშირებულია მისი დამაარსებლის და უცვლელი ხელმძღვანელის ღრმად პატივცემული ევგენი ხარაძის სახელთან. გზა, რომელიც განვლო ბატონმა ევგენიმ ასისტენტიდან საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტამდე და გეოფიზიკური ობსერვატორიის სინოპტიკოსიდან რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტამდე, ძნელი, რთული, მაგრამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანისა და დიდი მეცნიერის მიერ განვლილი გზაა.

ვინც პატივცემულ ევგენი ხარაძეს იცნობს, არ შეიძლება არ აღიაროს მისი, როგორც წარმოჩინებული პიროვნებისა და მეცნიერ-ორგანიზატორის, განსაკუთრებული თვისებები: საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, უდიდესი ენთუზიაზმი და უშრეტი ენერგია, მიზნის სიცხადე, მაღალი ორგანიზებულობა, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ მკაცრი მომთხოვნელობა, უფართოესი ერუდიცია, ღრმა ინტელექტი, შესაშური კულტურა და უდიდესი განსწავლულობა.

სწორედ ამ თვისებებმა მოუხვეჭეს ბატონ ევგენის დიდი და დამსახურებული ავტორიტეტი ჩვენს რესპუბლიკაშიც, ჩვენს ქვეყანაშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი განვითარებისადმი მიძღვნილ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჩვენ ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ლიდერი მეცნიერებაში და უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ პატივცემულ ევგენის მეცნიერებაში საბჭოთა, სოციალისტური ლიდერის ყველა ეს თვისება აქვს. იგი „იდეების გენერატორია", როგორც ახლა ჩვენ ხშირად მოვიშველიებთ ხოლმე ამ ტერმინს. მან შეძლო შექმნა და ამ იდეების განსახორციელებლად დაერაზმა შესანიშნავი კოლექტივი, მე ვიტყოდი, მეცნიერების მოსაგრეებისა, თუ გნებავთ, ნამდვილი გმირებისა, რომლებიც მრავალი ათეული წლის მანძილზე დედაქალაქის ცხოვრებას მოწყვეტილნი, თავგანწირვით ემსახურებიან მეცნიერებას.

ამასთან ობსერვატორიის დირექციამ, მისმა პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეძლეს შეექმნათ შესანიშნავი საცხოვრებელი პირობები (უკეთესიც შეიძლებოდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, პირობები ნორმალურია), კეთილმოწყობილი კაპიტალური საცხოვრებელი სახლები, კარგი სასადილო, სურსათ-სანოვაგით შეუფერხებელი მომარაგება, მაღაზია, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა — ყოველივე ეს, რასა თქმა უნდა, ახალისებს თანამშრომელთა ღამისთევას (ასეთია, ალბათ, ყველა ასტრონომის ბედი). ეს ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაფერი როდია. როგორც ამბობენ, მხოლოდ პური არსობისა არ არის საკმარისი. განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლექტივის წევრების სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა, და განსაკუთრებით კი ბავშვებზე, მომავალ ასტრონომებზე ზრუნვა, ძალიან დიდი მამაშვილური მზრუნველობა.

დღეს ჩვენ, თქვენმა სტუმრებმა, გულით გავიხარეთ, ამდენი ბავშვი რომ ვნახეთ ობსერვატორიის ტერიტორიაზე. დაე, კვლავაც ბევრ ბავშვს ერბინოს აქ. ეს არის ჩვენი სიხარული, ჩვენი მომავალი და ამისთვისაც, თქვენ რომ ასეთი დედები და მამები ბრძანდებით და იქნებით მომავალში, ერთხელ კიდევ დიდ მადლობას მოგახსენებთ.

დაწყებითი სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, ტელესადგური, კინოდარბაზი, მშვენიერი ბიბლიოთეკა, ხაზს ვუსვამ, მართლაც მშვენიერი ბიბლიოთეკა, სადაც ყველა მხატვრული სიახლე, პოლიტიკური ლიტერატურა, პერიოდიკა, გაზეთებია თავმოყრილი, წიგნის მოყვარულთა კლუბი, სხვადასხვაგვარი გამოფენები, კერძოდ, ბავშვთა მხატვრული შემოქმედებისა და მრავალი სხვა, რაც ხელს უწყობს მტკიცე შემოქმედებითი კოლექტივის შექმნას, რომელიც გაერთიანებული ძალ-ღონით ესწრაფვის საუკეთესო სამეცნიერო შედეგების მიღწევას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პატივცემულმა ევგენი ხარაძემ, როგორც კომუნისტმა, მეცნიერმა ორგანიზატორმა და მოქალაქემ, დიდი პირადი წვლილი შეიტანა საქართველოს კომპარტიის მიერ გაჩაღებულ ბრძოლაში რესპუბლიკაში პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენა-დამკვიდრებისათვის.

ჩვენ ღრმა რწმენას გამოვთქვამთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ბატონი ევგენის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ როლს შეასრულებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის, რესპუბლიკის სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი განმტკიცების, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის საქმეში.

ჩვენ ასევე გვჯერა, რომ მკვეთრად გაიზრდება საქართველოს მეცნიერთა წვლილი სასურსათო პრობლემისა და ყველა იმ ამოცანის გადაწყვეტაში, რომლებიც პარტიასა და ხალხს დაუსახეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა და საბჭოთა მეცნიერების დიდმა მეგობარმა და მოამაგემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენთვის ამ დაუვიწყარ, მე ვიტყოდი, საზეიმო ჟამს, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ობსერვატორიის იუბილარი სახელოვანი კოლექტივი ღირსეულად ემსახურება ერთ-ერთ უძველეს და უკეთილშობილეს მეცნიერებას.

ასტრონომია ხომ, შეიძლება ითქვას, კაცობრიობასთან ერთად აღმოცენდა. ამით თვალნათლივ გამოვლინდა ადამიანის მუდმივი მისწრაფება ჩასწვდომოდა ბუნების კანონებს, ყოფიერების საიდუმლოებას.

ასტრონომია იყო და რჩება პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთ უძლავრეს საშუალებად. მე მხედველობაში მაქვს არა მარტო მისი როლი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში, თეორიული საკითხების გადაწყვეტაში თვით ასტრონომიის დარგში, არამედ სამყაროს მატერიალისტური შემეცნებისა და ახსნის ფორმირებაშიც.

კოპერნიკის, გალილეის, ბრუნოს მოძღვრება და ცხოვრების მაგალითი ნიშნავდა ძირეულ გადატრიალებას არა მარტო საკუთრივ ასტრონომიაში, არამედ საერთოდ ადამიანის შეგნებასა და მსოფლმხედველობაში.

დღესაც ასტრონომების, ასტროფიზიკოსების წინაშე უდიდესი და ურთულესი ამოცანები, უფართოესი პერსპექტივებია გადაშლილი. ადამიანის სწრაფვას, ჩასწვდეს სამყაროს ამოუხსნელ საიდუმლოებას, საზღვარი არა აქვს, სამყარო კი უკიდეგანო და ამოუწურავია.

ნება მომეცით კიდევ ერთხელ შევახსენოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 25 თებერვლის ბრძანებულება: „ასტრონომიის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე. მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 25 თებერვალი".

მაქვს პატივი, გადმოგცეთ ეს მაღალი ჯილდო. გილოცავთ ამ უდიდეს, დამსახურებულ გამარჯვებას, სულითა და გულით გისურვებთ ახალ წარმატებებს, ახალი მწვერვალების დაპყრობას, დიდ პირად ბედნიერებას, დიდ სიხარულს.

დაე, მუდამ ჩახჩახებდეს აბასთუმნის თავზე ჭეშმარიტი მეცნიერული შემოქმედების დიდებული მზე!

* * *

დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ შრომის წითელი დროშის ორდენი მიაბნია ობსერვატორიის დროშას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა ობსერვატორიის თანამშრომელთა ჯგუფს გადასცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები და სიგელები საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ე. კ. ხარაძემ მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ასტრონომიული მეცნიერების განვითარებაში ქართველ მეცნიერთა მიერ შეტანილი წვლილის მაღალი შეფასებისათვის და განაცხადა, რომ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის კოლექტივი კვლავაც არ დაიშურებს ძალ-ღონესა და ენერგიას მეცნიერების განვითარებისათვის.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ა. ლანდია, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი ბ. ე. სენტიურინი, საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. მ. ნაკაშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. გ. გვერდწითელი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. მ. ოკუჯავა, რომლებმაც ობსერვატორიის თანამშრომელთა კოლექტივს მიულოცეს საპატიო ჯილდო და უსურვეს ახალი წარმატებანი საბჭოთა მეცნიერების სადიდებლად.

ობსერვატორიის განყოფილებათა გამგეებმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორებმა თ. გ. მეგრელიშვილმა და რ. ა. ბართაიამ, ობსერვატორიის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მ. მ. ქუმსიაშვილმა და ახალგაზრდა მეცნიერმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ი. ყულიჯანაშვილმა დამსწრეთ მადლობა გადაუხადეს გულითადი სიტყვებისათვის და აღნიშნეს, რომ ობსერვატორიის მთელ კოლექტივს ჯილდო მიაჩნია მომავალი მეცნიერული აღმოჩენებისა და ნამუშევრების ავანსად. მათ განაცხადეს, რომ მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ მეცნიერების სამსახურს.

(საქინფორმი).

ხალხთა მეგობრობის უდიდესი აღმშენებლობითი ძალა

(დასასრული)

ტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.

კონფერენციის მონაწილენი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას. იგი წაიკითხა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ე. ვოსმა.

მოხსენება „სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ბ. ნ. პონომარიოვმა**. ჩვენი ეპოქის კარდინალურ პრობლემათა შორის, თქვა მან, ეროვნულ საკითხს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რეალური სოციალიზმის ისტორიულმა გამოცდილებამ დაგვისახა ეროვნული საკითხის სამართლიანი და სრული გადაწყვეტის ერთადერთი შესაძლო გზა. ეს მთელი ძალითა და სიცხადით არის ნათქვამი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მისალმებაში, რომელიც ახლა მოისმინეთ.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა განვითარებაში დღემდე არნახული დიადი მიღწევები თვალსაჩინოდ მოწმობს სოციალიზმის უპირატესობას, ერთა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ჭეშმარიტებას, სკკპ ეროვნული პოლიტიკის სისწორეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ სსრ კავშირი თავისი სახელოვანი მე-60 წლისთავის წელს მთელი მსოფლიოს წინაშე წარდგება, როგორც კომუნიზმის მშენებელი თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების ერთსულოვანი ოჯახი. ურღვევია საბჭოთა ხალხის შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტის, მისი მეთაურის, დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო.

ბ. ნ. პონომარიოვმა აღნიშნა, რომ მრავალეროვანი საბჭოეთის განუხრელი და ძლევამოსილი განვითარება ახალ ამოცანებს უსახავს კომუნისტურ პარტიას, ხალხს, და თქვა: პარტია მათ გადაწყვეტას უდგება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებითა და შეძენილი ისტორიული გამოცდილებით აღჭურვილი, შემოქმედებითად ამდიდრებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკით შემოწმებულ ლენინურ პრინციპებს. პარტიის XXV და XXVI ყრილობების მასალებსა და გადაწყვეტილებებში, ლ. ი. ბრეჟნევის შრომებში ჩამოყალიბებული და ყოველმხრივ დასაბუთებულია ლენინური ეროვნული პოლიტიკა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ნიადაგ ადევნებს თვალს იმას, რომ ეროვნული ურთიერთობის სფეროში ახალი პროცესები და პრობლემები საგულდაგულოდ იქნეს გათვალისწინებული პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი კონფერენციაც, რომელიც მოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო იმპერიალიზმის ეპოქაში ეროვნული საკითხისა და კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის თეორიას, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა. ლენინის შრომებში ყოველმხრივ არის დასაბუთებული ეროვნული საკითხის სრული გადაჭრის ურღვევი კავშირი სოციალისტურ რევოლუციასთან. ლენინმა არა მარტო ჩამოაყალიბა სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოებრიობის პრინციპული საფუძვლები, არამედ სსრ კავშირის შექმნის საწყისებთანაც იდგა. ორატორმა გააშუქა ღრმა პროგრესული ცვლილებები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ცხოვრებაში მოხდა სოციალისტური მშენებლობის წლების მანძილზე.

შეეხო რა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე სკკპ ეროვნული პოლიტიკის საკითხებს, ორატორმა აღნიშნა, რომ ეროვნული ურთიერთობის განვითარების მთავარი ტენდენციაა საბჭოთა ერების შემდგომი ყოველმხრივი დაახლოება, სსრ კავშირის განმტკიცება. მან დაახასიათა ეროვნული ურთიერთობის ძირითადი ნიშნები თანამედროვე პირობებში, როცა ამ ურთიერთობის მთელი განვითარება მიმდინარეობს უკვე შექმნილი ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის — საბჭოთა ხალხისა და მის შემდგომ პროგრესთან მჭიდრო კავშირის პირობებში. სოციალისტური ერთაშორისი ურთიერთობა უკვე გასცდა ჩვენი ქვეყნის მიჯნებს, რადგან არსებობს და მტკიცდება სოციალისტური თანამეგობრობა.

მომხსენებელი შეეხო ეკონომიკური მშენებლობისა და ეროვნული ურთიერთობის განვითარების ურთიერთკავშირის საკითხებს და აღნიშნა, რომ ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი ხალხთა ძმობისა და მეგობრობის საიმედო მატერიალური საფუძველია. საბჭოთა რესპუბლიკები ერთად წყვეტენ შემდგომი პროგრესის საკვანძო პრობლემას — წარმოების ინტენსიფიკაციის ამოცანას.

ყველა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, მშრომელების ცენტრალური ამოცანა მიმდინარე და მომავალი ხუთწლედებისათვის ის არის, რომ განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მიერ მოწონებული სასურსათო პროგრამა, საიმედოდ უზრუნველყონ ქვეყნის მოსახლეობა სასურსათო პროდუქტებით. და უდავოა, რომ სსრ კავშირის ხალხთა ინტერნაციონალური ერთიანობა და მეგობრობა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პროგრამაში დასახული მასშტაბური მიზნების განხორციელებაში. ამავე დროს თვით ეს მუშაობა გახდება ჩვენი ხალხების შემდგომი დაახლოებისა და მეგობრობის განმტკიცების ხელშემწყობი ფაქტორი.

ორატორმა თქვა, რომ თანამედროვე ეტაპზე ძლიერდება ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში სოციალური პოლიტიკის, სოციალური დემოკრატიის თანამიმდევრული გაღრმავების როლი. ყველა რესპუბლიკისათვის საერთოა კლასებისა და სოციალური ჯგუფების არსებითი დაახლოება. სკკპ XXVI ყრილობის დასკვნა მთავარსა და ძირითადში უკვე განვითარებული სოციალიზმის ისტორიულ ფარგლებში უკლასო სტრუქტურის ჩამოყალიბების შესახებ ნათლად გვიჩვენებს საბჭოთა ხალხის სოციალური და ინტერნაციონალური ერთიანობის შემდგომი განმტკიცების პერსპექტივას.

ეროვნული განვითარების პრობლემებისადმი ინტერნაციონალისტური მიდგომის ქმედითი იარაღი უნდა გახდეს საკადრო პოლიტიკაც. როგორც ტაშკენტში გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, „უნდა ვისწრაფოდეთ იმას, რომ თითოეული რესპუბლიკის ერებსა და ეროვნებებს ჰქონდეთ სათანადო წარმომადგენლობა მის პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში — რა თქმა უნდა, ამასთან მკაცრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყოველი ადამიანის საქმიანი და იდეურ-ზნეობრივი თვისებები".

განვითარებული სოციალიზმის კეთილმყოფელ ნიადაგზე იზრდება და მტკიცდება საბჭოთა ხალხის ერთიანი ინტერნაციონალური კულტურა. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ყოველმხრივი განვითარების ოქროს ხანა, როგორც შთაგონებით თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, წარსულში კი არა, მათს აწმყოსა და მომავალშია.

როცა მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის პარტიული კომიტეტების საქმიანობას შეეხო, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მიზანდასახულად ვიმუშაოთ, რათა პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მკვიდრდებოდეს, როგორც თითოეული ადამიანის ყოველდღიური ქცევის ნორმა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის განუყოფელი ნიშანი.

როცა შეაჯამა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ ნათქვამი, ბ. ნ. პონომარიოვმა გამოყო ამ პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი:

— სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობის დაუცხრომელი განმტკიცება, საბჭოთა ხალხის, როგორც ახალი ისტორიული ერთობის, განმტკიცებისა და განვითარების პროცესისათვის ეფექტიანი ხელშეწყობა;

— თითოეული რესპუბლიკის შემდგომი მატერიალური და სულიერი პროგრესის კურსის თანამიმდევრული განხორციელება და ამასთან მთელი ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის მათი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება;

— ყველა ერის მშრომელთა მეცადინეობის კონცენტრაცია ძირითადი ეკონომიკური პრობლემის — წარმოების ინტენსიფიკაციის, მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის გადასაწყვეტად;

— სსრ კავშირის განმტკიცება, სოციალისტური დემოკრატიის თანამიმდევრული გაღრმავება;

— უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბების კალაპოტით საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის განვითარება;

— ჩვენი ქვეყნის თითოეული ერისა და ეროვნების სულიერი კულტურის პროგრესისათვის, საბჭოთა ხალხის ერთიანი სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა;

— კონკრეტული და მიზანდასახული მუშაობა მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის, იმპერიალიზმის ცილისმწამებლური კამპანიების მტკიცე გაბედული დაგმობა;

— ერებისა და ეროვნულ ურთიერთობათა შესახებ ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი განვითარება განვითარებული სოციალიზმისა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პირობების შესაბამისად.

შემდეგ მოხსენებაში წარმოჩენილი იყო სსრ კავშირში ეროვნული ურთიერთობის გარდაქმნის თეორიისა და პრაქტიკის საერთაშორისო მნიშვნელობა. ეს ურთიერთობა უდიდეს გავლენას ახდენს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის ხალხთა ბრძოლაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილების მრავალ მხარეს ფართოდ იყენებენ მთელი მსოფლიოს პროგრესული სახელმწიფოები, პარტიული და საზოგადოებრივი მოძრაობები.

კომუნისტური პარტიები უდიდეს ყურადღებას უთმობენ ეროვნულ საკითხს. ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჩვენს ეპოქაში სამყაროს ნამდვილი სოციალური განახლების განუყოფელი ნაწილია. მსოფლიოში სამართლიანი ერთაშორისი ურთიერთობის დამკვიდრება ომის საფრთხისა და გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ეროვნული შუღლისა და შოვინიზმის გაღვივება ჩვეულებრივ აგრესიების დამპყრობლური ომების პროლოგი იყო. ჩვენს დროშიც შოვინიზმი იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების არსენალშია, რომელიც ახორციელებს შეუკავებელ გამალებულ შეიარაღებას, ამძიერებს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობას, უხეშად ერევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში და ამწვავებს კრიზისულ სიტუაციებს დედამიწის სხვადასხვა რაიონში. ისინი ცდილობენ უკუღმა შეატრიალონ დაძაბულობის შენელების პროცესის ჩარხი და ააორძინონ „ცივი ომის" ხანა. შოვინისტური იდეოლოგია უდევს საფუძვლად ისრაელის მმართველი წრეების პოლიტიკას, რომლებმაც სისხლიანი აგრესია დაატეხეს თავს ლიბანს და დაადგნენ პალესტინელთა მიმართ ნამდვილი გენოციდის, ლიბანის მცხოვრებთა უმოწყალო ჟლეტის გზას.

ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული სტრატეგია არა მარტო მიმართულია უშუალოდ იმ ერებისა და ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებსაც არ სურთ დაემორჩილონ იმპერიალისტურ დიქტატს და იცავენ თავიანთი ბედის თავად განკარგვის უფლებას, არამედ ამასთანავე იწვევს კიდეც ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთა სუვერენიტეტის შეზღუდვას, მათი პოლიტიკის დაქვემდებარებას ამერიკის მმართველი წრეების ინტერესებისათვის.

ამ კურსს უპირისპირდება სოციალისტური სახელმწიფოების, კომუნისტური და მუშათა პარტიების პოლიტიკა.

შემდეგ მომხსენებელმა გააშუქა, თუ რა დიდებით გავლენას ახდენს საბჭოთა კავშირის ეროვნული მშენებლობის გამოცდილება სოციალისტური თანამეგობრობის კომუნისტური და მუშათა პარტიების საქმიანობაზე, მათი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის პრაქტიკაზე, რომელიც სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს ეფუძნება. ამ გამოცდილებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ აზია-აფრიკის, ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, კომუნისტები, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მთელი პროგრესული ძალები.

შეეხო რა საბჭოთა გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობას, მომხსენებელმა, უწინარეს ყოვლისა, გამოყო მისი შემდეგი მხარეები:

უზარმაზარი ეროვნული მრავალფეროვნების მქონე მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის მაგალითით უცილობლად იქნა დამტკიცებული თანასწორუფლებიანობის, სამართლიანობისა და მეგობრობის პრინციპზე დაფუძნებული ერებისა და ეროვნებების თვისებრივად ახალი ტიპის ურთიერთობის ჩამოყალიბების რეალური შესაძლებლობა. დამაჯერებლად წარმოჩნდა, რომ ასეთი ურთიერთობა საზოგადოებრივი პროგრესის მძლავრი ფაქტორია.

თეორიულად დასაბუთებულია და პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ რამდენადაც ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრა და უთანასწორობა ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაციის სისტემის შედეგია, მაშასადამე, ეროვნული საკითხის ნამდვილი გადაწყვეტისათვის ბრძოლა დაკავშირებულია მშრომელთა სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლასთან. კაპიტალიზმს არ ძალუძს რამდენადმე თანამიმდევრულად გადაწყვიტოს ეროვნული საკითხი.

ერების ნამდვილი თანასწორობის მიღწევა გულისხმობს თვითგამორკვევის, საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლებას, სოციალურ-ეკონომიკური წყობილების თავად განსაზღვრის, სხვა ქვეყნებთან და ხალხებთან ურთიერთობის სუვერენული წარმართვის უფლების რეალიზაციას. მრავალეროვანი სახელმწიფოს საიმედო პოლიტიკური ბაზა შეიძლება გახდეს მხოლოდ მის შემადგენლობაში შემავალი ერთა და ეროვნებათა მთლიანად ნებაყოფლობითი კავშირი.

ერების პოლიტიკური განთავისუფლება ვერ იქნება მტკიცე, თუ იგი არ ეხამება ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობის გარდაქმნას, ეკონომიკური თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლას თანამედროვე პირობებში, როცა ათობით სახელმწიფო წყვეტს საუკუნოვანი ჩამორჩენის დაძლევის, განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებთან ეკონომიკურ ურთიერთობაში თანასწორუფლებიანობის მიღწევის ურთულეს ამოცანებს, საბჭოთა რესპუბლიკების გამოცდილება მათთვის ძვირფასი და შთამაგონებელი მაგალითია. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დამტკიცებულ რეალურ შესაძლებლობას — ხალხებს, რომლებსაც არ გაუვლიათ განვითარების კაპიტალისტური სტადია, შეუძლიათ ამ სტადიის გაუვლელად ან მისი არსებითი შემცირებით მიაღწიონ სოციალიზმს.

ეროვნული თანასწორუფლებიანობის დამყარება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ხასიათთან. რაც უფრო ახლოს არის იგი ნამდვილ სახალხო ხელისუფლებასთან, რაც უფრო ფართოდ აბამს იგი საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეებში აქტიური მონაწილეობისათვის მშრომელთა მასებს, მით უფრო მეტი ასპარეზი ენიჭებათ ეროვნული აღორძინების ამოცანების გადასაწყვეტად ქვეყნებს, რომლებიც დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ.

ეროვნული პრობლემების სამართლიანი გადაჭრისათვის საჭიროა შეგნებული და ორგანიზებული პოლიტიკური ავანგარდი, საჭიროა პარტია, რომელიც მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებს გამოხატავს და მეცნიერული სოციალიზმით ხელმძღვანელობს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალი წლის პრაქტიკამ ცხადყო, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის მუშაობას ყველა ეროვნების მშრომელთა აღსაზრდელად ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ადამიანთა შეგნებაში ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეების დამკვიდრების სულისკვეთებით.

ყოველ ხალხს, თითოეულ ქვეყანას შეუძლია ჩვენი გამოცდილებიდან შეიმატოს ის, რაც თავისთვის საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნია.

დასასრულ მომხსენებელმა თქვა: რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს მესამოცე წლისთავს. ამ დღესასწაულის დამდეგს აშკარად ვხედავთ სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური მიღწევების, ეროვნული კულტურისა და ხელოვნების უმაგალითო აყვავების შთამბეჭდავ მაგალითს. ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნამდვილი აღლუმია. როგორც ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის მესამოცე წლისთავი — „ეს კარგი საბაბია შედეგების შესაჯამებლად, სამერმისო ამოცანების გასარკვევად და დასაზუსტებლად. ვემზადებით რა სახელოვანი იუბილეს შესახვედრად, ჩვენ კვლავ და კვლავ ვამოწმებთ ჩვენს მოქმედებას ახალი საზოგადოების მშენებლობის ლენინური პროგრამის მიხედვით". სსრ კავშირის მესამოცე წლისთავის სამზადისი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ყოველმხრივ და ყოველნაირად განვამტკიცოთ ხალხთა მეგობრობა და ძმობა, უზრუნველვყოთ მასების პოლიტიკური და შრომითი ინიციატივის შემდგომი ამაღლება XXVI ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

საბჭოეთის მიერ დიდი ოქტომბრის დროიდან გამოვლილი მთელი გზა, მისი ისტორიული მონაპოვარნი, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება, რომელიც ჩვენში აშენდა, — ეს არის ეროვნული ურთიერთობის შემდგომი სრულყოფის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცების, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის მისი მძლავრი აღმშენებლობითი პოტენციალის გამოყენების საიმედო საძირკველი. საბჭოთა ადამიანები ამ მარშრუტზეც უხსნიან ახალ ჰორიზონტებს მთელ კაცობრიობას.

ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. ე. ვოსის მოხსენებაში — „მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაძლიერების აქტუალური საკითხები" — ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა ლატვიის სოციალურ-ეკონომიკური მიღწევები — ეს არის არა მარტო რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებული შრომის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი მეგობრობის, ყველა საბჭოთა ხალხის და უწინარესად რუსი ხალხის უანგარო ყოველმხრივი დახმარების და მხარდაჭერის შედეგი.

მოისმინეს აგრეთვე უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ა. ხ. კაპტოს**, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ს. ნ. იმაშევის**, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორის **ვ. ა. მედვედევის**, სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის **მ.-ს. ი. უმახანოვის** მოხსენებანი.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს.

* * *

ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა და კონფერენციის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს რიგაში აღმართული ვ. ი. ლენინის ძეგლი.

შენახვას—განსაკუთრებული ზრუნვა

მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება

ვაზი და სტიქია. სამწუხაროა, მაგრამ ხშირად მევენახის მრავალი დღის ჯაფა წყალში იყრება ერთი წუთის, ერთი წამის განმავლობაში. და ყველაფერი იმის გამო, რომ ვაზი დაცული არ არის სეტყვისაგან, დაავადებებისაგან. სტიქიის წინაშე ვაზი უმწეოა. მაგრამ ადამიანს, რომელიც მას თავს ევლება, დღეს ბევრი რამ შეუძლია. გამოცდილებით, ცოდნით, ტექნიკით, მცენარეთა დაცვის თანამედროვე საშუალებებით აღჭურვილ ადამიანს შეუძლია უამინდობისა და დაავადებათა გავრცელების პროგნოზირება, სპეციალური დანადგარების მეშვეობით სეტყვის ღრუბლების დაშლა, განსაკუთრებული ტექნოლოგიის გამოყენებით ჰექტარის მოსავლიანობის გაზრდა. ადამიანს ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ საჭიროა, რომ საშუალებათა მთელ არსენალს, რომელიც აქვს, უნარიანად იყენებდეს, ებრძოდეს სტიქიურ უბედურებათა წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი შედეგების მაქსიმალური ლიკვიდაციის ახალ გზებსა და საშუალებებს.

რესპუბლიკის მევენახეობაში გასული წლის შედეგები და მიმდინარე წლის უამინდობის შედეგების ლიკვიდაციის საქმეში დარგის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანები განიხილეს მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა თბილისში გამართული რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებმა. შეკრებაში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერები, სპეციალისტები.

შეკრების გახსნისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ვარძელაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ტრადიციული შეხვედრა მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს, როცა ყველა საბჭოთა ადამიანი შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

შეკრებაზე მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა გ. მგელაძემ და სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის" უფროსმა გ. ლოლაძემ.

შეკრების მონაწილეთა მოხსენებებსა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ მიმდინარე წელი მევენახეობაში, ადამიანების თავდადებული შრომის წყალობით, უხვ მოსავალს გვპირდებოდა. მაგრამ შუა გაზაფხულზე სეტყვამ სერიოზული ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების ზვრებს. მარტო საზოგადოებრივ მეურნეობებში დაზიანდა 31 ათასი ჰექტარი ზვრები, რაც 152 ათასი ტონა ყურძნის დაკარგვას ნიშნავს.

ვენახების გადასარჩენ სამუშაოებზე დაირაზმა მთელი სოფლის მოსახლეობა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ქმედითი დახმარება გაუწიეს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა. მაღალ აგროტექნიკურ და ორგანიზაციულ დონეზე აწარმოეს საჭირო სამუშაოები გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის, ველისციხის, ვაზისუბნის, წითელწყაროს რაიონის ზემო ქედისა და არხილოსკალოს კოლმეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მევენახეებმა. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე, სადაც ვერ უზრუნველყვეს ვაზის მოვლის სამუშაოთა ზუსტი რიტმი, არ აწარმოეს მწვანე ოპერაციები. პლანტაციების დანაგვიანებამ, მოუვლელობამ გამოიწვია ბევრგან ვაზის დაავადების გავრცელება. სწორედ ამიტომ, ხაზგასმით აღინიშნა შეკრებაზე, დაავადებებისაგან ვენახების გადარჩენისათვის, მოსავლის შენარჩუნებისათვის ბრძოლა უპირველესი მნიშვნელობის საქმეა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისათვის, დარგის ყველა მშრომელისათვის.

როცა მოსავლის ბედისათვის ვზრუნავთ, ამავე დროს უნდა ვიფიქროთ ხვალინდელ მოსავალზეც, რადგან რესპუბლიკის სასურსათო პროგრამა ითვალისწინებს ხუთწლედის დამლევისათვის ყურძნის დამზადება 1.200 ათას ტონამდე გაიზარდოს. ბრძოლა სიმეჩხრის წინააღმდეგ, რომელიც მთლიანად რესპუბლიკაში 15 პროცენტს შეადგენს, ყურძნის მთლიანი მოსავლის გაზრდის ერთ-ერთი მთავარი გზაა.

საზოგადოებრივი მეურნეობები ჩვენი ეკონომიკის საფუძველია. ზოგიერთი მეურნეობისა და რაიონის ხელმძღვანელებმა კი წესად გაიხადეს ყურძნის დამზადების გეგმის შესრულება მოსახლეობის პირადი ნაკვეთების ხარჯზე. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ უხვმოსავლიანი იყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა ვენახი.

შეკრებაზე დიდი ყურადღება დაეთმო მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის პრობლემას. შარშან 780 ათასი ტონა ნედლეულიდან 497 ათასი ტონის შაქრიანობის პროცენტი დაბალი იყო. ამის შედეგად მეურნეობების ზარალმა თითქმის 32 მილიონი მანეთი შეადგინა. იმისათვის, რომ ეს არ დავუშვათ, საჭიროა დავიცვათ ყურძნის მოვლა-მოყვანისა და კრეფის აგროტექნიკის, ტრანსპორტირების წესები.

ორატორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს აგრეთვე იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ქართული ღვინის ხარისხი, გაიზარდოს უნიკალური მარკების ღვინის გამოშვება, გაუმჯობესდეს მევენახეთა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა შრომისა და ყოფის პირობები, დამკვიდრდეს სპეციალისტები ადგილებზე.

შეკრების მონაწილეებმა მკაცრად დაგმეს მეღვინეობაში ნეგატიურ მოვლენათა ფაქტები, რომლებიც უკანასკნელ დროს გახშირდა. ეს ეხება უხარისხო ნედლეულის ჩაბარებისა და უხარისხო პროდუქციის გამოშვების, ღვინისა და ღვინომასალის ტრანსპორტირების შემთხვევებს, როცა ერთ პროდუქციას ცვლიან სხვა, უხარისხო პროდუქციით, კომბინატორებსა და ფალსიფიკატორებს კანონის მთელი სიმკაცრით უნდა ვებრძოლოთ.

მიმდინარე წელი, როცა აღინიშნება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი, — თქვეს შეკრების მონაწილეებმა, — ახალი შრომითი წარმატებების წელი უნდა გახდეს. რესპუბლიკის მშრომელთა პატრიოტული ვალია ერთობლივი მეცადინეობით, ვენახებისათვის განსაკუთრებული ზრუნვით აანაზღაურონ სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალი, ღირსეული წვლილი შეიტანონ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

შეკრების შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა მევენახისა და ღვინის მრეწველობის ყველა მუშაკისადმი.

(საქინფორმი).

იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი

ინტერნაციონალური აღზრდა: ეფექტიანობის წანამძღვრები

ფარშან, იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკაში პირველად, საქართველოს იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირ-სემინარზე გაიმართა სექციური სხდომები. თავისი მაღალი ეფექტიანობა დაამტკიცა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის კონკრეტული მიმართულებების მიხედვით აზრთა გაზიარების ახალმა ფორმამ.

ახლანდელი რესპუბლიკური თათბირ-სემინარის პირველ დღეს მისმა მონაწილეებმა, რომლებიც ექვს სექციად გაიყვნენ, გააგრძელეს ეს ტრადიცია და გაამდიდრეს ეს გამოცდილება — მათ განიხილეს პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პროპაგანდისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები. გაიმართა კონკრეტული, საქმიანი სჯა-ბაასი ამ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ XXVI ყრილობის, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის მითითებების შესაბამისად.

პარტიის იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხთა განხილვის საგნობრიობა, პრინციპულობა გამართული აზრთა გაზიარების, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ორგანიზაციის ოპტიმალური ფორმების ერთობლივი ძიების დამახასიათებელი ნიშანია.

საუკეთესო პროპაგანდისტია თვით სინამდვილე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფილიალის გახსნაზე, რომელიც მალე გაი- [...]

[...]

ნაირი ბურჟუაზიული თეორიების სიყალბე და უსაფუძვლობა, რომლებიც ამახინჯებენ საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის არსს. მაგალითად, უკანასკნელ ხანს, ვრცელდება მტრული ჭორები იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ხალხების ნებით კი არა, რაღაც „ზემოდან გადაწყვეტილებით“ ყოფილიყოს შექმნილი.

სექციის მონაწილენი ერთსულოვანი იყვნენ: ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების საუკეთესო პროპაგანდისტია ჩვენი ქვეყნის, რესპუბლიკის ყოველდღიური ცხოვრება და სწორედ ამ ცხოვრებიდან უნდა ვიღებდეთ ფაქტებს, უნარიანად განვმარტავდეთ მათს როლსა და მნიშვნელობას.

განვამტკიცოთ წმიდათაწმიდა კავშირი

[...]

ჩვენ საბჭოთა ხალხი ვართ

ხუთი ათას წელს შეადგენს ფოთში მცხოვრები 54 მუშური დინასტიის საერთო შრომითი სტაჟი. ფოთის ნავსადგურის მუშაკთა 30 პროცენტზე მეტი აქ სამუშაოდ სულ ახალგაზრდა მოვიდა და თითოეულმა დაახლოებით ოცდაათი წელი იმუშავა. მათ შორის არიან 30-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც ერთ მეგობრულ [...]

[...]

ჩემი მეგობრები ჩემი სიმდიდრეა

ჭიათურელი და ნიკოპოლელი მუშების მეგობრობისა და სოციალისტური შეჯიბრების ისტორიას შეიძლება თვალი გავადევნოთ იმით, თუ გავეცნობით ჭიათურის მანგანუმის საწარმოო გაერთიანების გვირაბგამყვანის პეტრე ჭიტაძის საოჯახო არქივს. არქივში შეკრებილია ქართველი მუშისა და ქალაქ ნიკოპოლის „ჩიატურსკაიას“ მაღაროს გვირაბგამყვანის, სოციალისტური შრომის გმირის ივანე მელნიკოვის მრავალი წლის მიმოწერა.

[...]

ერთიან მწყობრში

— **ჩვენი** პატარა, მეშახტეებით დასახლებული ქალაქი მდინარის ხეობას მიჰყვება თითქმის ოც კილომეტრზე. მას გამჭოლი მაგისტრალი კვეთს, რომელსაც მეგობრობის ქუჩა ეწოდება. ეს არც არის გასაკვირი: გაიარ-გამოიარე ქალაქში, ჩადით შახტებში, შეიხედეთ საღამოს ბინებში და ყველგან გაიგონებთ ქართულ-აფხაზურ ან სომხურ-რუსულ საუბრებს, როგორ უზიარებენ ერთმანეთს ადამიანები საზრუნავსა თუ ახალ ამბებს. სხვაგვარად არც [...]

[...]

დროის კვალდაკვალ

„**წელი** პირველი — წელი მესამოცე“, „ერთიან ოჯახში“, „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“, „ჩვენი ძმობის მისამართები“ — ამ და სხვა რუბრიკებმა დაიკავეს წამყვანი ადგილი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. და ისინი ყველა მიეძღვნა სახელოვან იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს.

— რესპუბლიკის ჟურნალისტებს, [...]

[...]

მუსიკოსთა ფორუმზე

მოსკოვში გრძელდება ჩაიკოვსკის სახელობის VII საერთაშორისო კონკურსი. ჩვენ შევხვდით მევიოლინეთა ჟიურის პასუხისმგებელ მდივანს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სიმებიან საკრავთა კათედრის გამგეს პროფესორ ი. ბერიძეს, რომელმაც გვითხრა:

— მეამაყება, რომ მსოფლიოს მუსიკოსთა ეს დიდი ფორუმი უკვე მეხუთეა ჩემთვის.

ამჯერად VII საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობდა 78 პიანისტი, (6 საბჭოთა კავშირიდან), 47 მევიოლინე (2 საბჭოთა კავშირიდან), 70 ჩელისტი (2 საბჭოთა კავშირიდან), 56 ვოკალისტი, რომელთა შორის 13 საბჭოთა ვოკალური სკოლის წარმომადგენელია. როგორც იცით, ეს-ეს არის დაიწყო მეორე ტური, რომელშიც კონკურსს განაგრძობს 23 პიანისტი (5 საბჭოთა კავშირიდან), ვიოლინოს კონკურსში დარჩა 19 მევიოლინე და მათ შორის არის ორივე ჩვენი წარმომადგენელი. ჩელოს კონკურსს განაგრძობს 31 მუსიკოსი (2 ჩვენი ქვეყნიდან), ვოკალისტებისას — ასევე 31 (12 საბჭოთა მომღერალი).

კონკურსის დამთავრებამდე არ არის მიზანშეწონილი გარკვეული შეფასება მივცეთ კონკურსის მონაწილეთ და მაინც მინდა სიამოვნებით აღვნიშნო ის წარმატება, რომელიც უკვე ხვდათ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს: პიანისტ ნ. კერესელიძეს, ვოკალისტებს პ. ბურჭულაძესა და ა. ხომერიკს, ალბათ, იცით, ნ. კერესელიძე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სპეციალური საშუალო სამუსიკო სკოლის აღზრდილია, დაამთავრა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (პროფ. ი. ზაკის და ე. ტიმოფეევას კლასი), ამჟამად კი ასისტენტ-სტაჟიორია მოსკოვის გნესინების სახელობის მუსიკალურ-პედაგოგიურ ინსტიტუტში. იგი საკავშირო კონკურსების ლაურეატია. რაც შეეხება ჩვენს მომღერლებს, ორივე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტია. პ. ბურჭულაძემ წარმატებით გაიარა სტაჟირება, ცნობილ ლა-სკალას თეატრში, ა. ხომერიკი კი ახლა გადის სტაჟირებას ლა-სკალაში.

დასასრულ, მინდა რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ მევიოლინეთა ჟიურის მუშაობაზე: უპირველეს ყოვლისა აქ აღსანიშნავია დიდი ობიექტურობა და კოლეგიურობა, რომლის ტრადიციები დანერგა საბჭოთა მევიოლინემ დ. ოისტრახმა. იგი ხუთჯერ იყო ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსების თავმჯდომარე, დღეს ამ ტრადიციებს განაგრძობს ლ. კოგანი.

საყოველთაოდ ცნობილია საბჭოთა სავიოლინო სკოლის დიდი ავტორიტეტი, ამიტომ სავსებით გამართლებულია მხოლოდ ორი საუკეთესო საბჭოთა მუსიკოსის მონაწილეობა კონკურსში. ამით საშუალება მოგვეცა გაგვეფართოებინა უცხოელ მონაწილეთა რიცხვი და, მართლაც, მეორე ტურში გასული 19 კონკურენტი მსოფლიოს 10 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელია.

სასიამოვნო და საამაყოა, რომ უკვე მეორედ პიანისტთა ჟიურის თავმჯდომარეა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ო. თაქთაქიშვილი, ხოლო ვოკალისტთა ჟიურის შემადგენლობაში მონაწილეობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ამირანაშვილი.

დ. მაჭავარიანი.
„კომუნისტის" საკ. კორ.

ქ. მოსკოვი.

ესპანეთი — 82

სიმბოლური ნაკრები

ფეხბურთელთა XII მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით დასავლეთ გერმანიის დპა-ს სააგენტოს კორესპონდენტებმა მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა დაასახელეს. მათ ნაკრებში შეიყვანეს: მეკარე — დასაევი (სსრ კავშირი); მცველები — გერეტსი (ბელგია), კარლ-ჰაინც ფიორსტერი (გფრ), ჩივაძე (სსრ კავშირი), ჟუნიორი (ბრაზილია); ნახევარმცველები — სოკრატესი, ზიკო (ორივე — ბრაზილია), არდილესი (არგენტინა); თავდამსხმელები — მარინერი (ინგლისი), ბლოხინი (სსრ კავშირი) და ედერი (ბრაზილია). სააგენტოს კორესპონდენტებმა მარადონას (არგენტინა) და რუმენიგეს (გფრ) სათადარიგოთა სკამზე მიუჩინეს ადგილი. სათადარიგო მეკარედ კი დასახელებულია კამერუნელი ნკონო.

მაყურებელთა რეაქცია

დასავლეთ გერმანიის სპორტულმა სააგენტომ სიდმა მოაწყო გულშემატკივართა გამოკითხვა გფრ-ავსტრიის ფეხბურთელთა განვლილი მატჩის თაობაზე. მთელ ქვეყანაში გამოკითხული 1000 კაციდან თითქმის ცხრა მეათედს სჯერა, რომ ორივე ნაკრებმა წინასწარვე იცოდა, როგორ დამთავრდებოდა მათი შეხვედრა. უმრავლესობა თვლის, რომ ასეთი მატჩები გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ფეხბურთს. ერთმა გულშემატკივარმა კი თქვა: „არ გამიკვირდებოდა, რომ თამაშის შემდეგ ორივე ნაკრების ფეხბურთელებს ერთმანეთის კოცნა დაეწყოთ".

უფავორიტოდ

ბელგიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა გი თისმა განაცხადა, რომ „ა" ჯგუფში ფავორიტი არ არის. „ნახევარფინალში გასვლა შეუძლია ნებისმიერ გუნდს. ჩვენ უკვე მივაღწიეთ მიზანს — გავედით ჩემპიონატის მომდევნო წრეში. ჩვენ სხვა გეგმები არ გვქონია, მაგრამ, როგორც ამბობენ, მადა ჭამაში მოდისო... „ა" ჯგუფი საკმაოდ თანაბარი შემადგენლობისაა და ნახევარფინალში გასვლისათვის საჭიროა ძალების მაქსიმალური დაძაბვა". პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი ანტონი პეხნიჩეკმა კი თქვა, რომ „ბელგიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელები ძლიერნი არიან დაცვაშიც და თავდასხმაშიც. ნახევარფინალში გასვლისათვის მრავალი პრობლემის გადაწყვეტა მოგვიხდება. ვფიქრობ, რომ ჩვენს ჯგუფში გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონატში მესამე ადგილს დაიკავებს".

დაისაჯნენ... მსაჯები

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ არტემიო ფრანკიმ (იტალია) განაცხადა: „ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპის მსაჯობის თაობაზე შემოსული ყველა პატაკი შევისწავლეთ და ისინი ძირითადად ემთხვევა გულშემატკივართა შეხედულებას. ჩვენმა კომიტეტმა მიიღო რიგი გადაწყვეტილებანი, რომ შემდგომში არ განმეორდეს ინციდენტები, რომლებმაც პრესისა და ფეხბურთის მოყვარულთა ცხარე რეაქცია გამოიწვია. ზოგიერთი არბიტრი მომდევნო მატჩებში არ იმსაჯებს, ზოგიერთი კი ხაზის მსაჯებად დაინიშნება". კერძოდ, მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯად აღარ იქნება დაშვებული ესპანელი არბიტრი აუგუსტო კასტილიო, რომელმაც უხეში შეცდომები დაუშვა სსრ კავშირ-ბრაზილიის მატჩზე.

რედაქტორის მოადგილე
ვ. ნაშუებია.

ნახეთ, ხომ არ მოიგეთ?

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1982 წლის მეხუთე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1982 წლის 25 ივნისს ქ. ქუთაისში. ტირაჟში გათამაშდა 360.000 მანეთის 117 ნივთმოგება და 199.883 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ღირებულება
16026	479*)	30 მანეთი	—
16038	414*)	20 მანეთი	—
16063	326*)	30 მანეთი	—
16085	019*)	20 მანეთი	—
16087	374*)	ხალიჩა	456—00
16094	446*)	20 მანეთი	—
16105	201*)	20 მანეთი	—
16132	367*)	50 მანეთი	—
16138	200*)	25 მანეთი	—
16142	487*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
16160	067*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
16167	186*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
16174	122*)	250 მანეთი	—
16177	183*)	გაზქურა „ბრესტი"	180—00
16182	158*)	გაზქურა „ბრესტი"	180—00
16192	364*)	30 მანეთი	—
16195	243*)	მტვერსასრუტი	37—00
16196	150*)	30 მანეთი	—
16206	277*)	20 მანეთი	—
16220	003*)	20 მანეთი	—
16223	421*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	2125—00
16224	098*)	25 მანეთი	—
16230	463*)	100 მანეთი	—
16247	265*)	45 მანეთი	—
16257	487*)	30 მანეთი	—
16267	288*)	500 მანეთი	—
16270	028*)	50 მანეთი	—
16291	065*)	მტვერსასრუტი	37—00
16293	299*)	45 მანეთი	—
16298	330*)	ელექტროსამოვარი	21—00
16304	425*)	მტვერსასრუტი	37—00
16314	168*)	მტვერსასრუტი	37—00
16333	483*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
16390	113*)	100 მანეთი	—
16397	488*)	45 მანეთი	—
16399	422*)	ელექტროსამოვარი	21—00
16428	367*)	25 მანეთი	—
16444	207*)	30 მანეთი	—
16469	318*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
16514	257*)	30 მანეთი	—
16531	288*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
16547	446*)	20 მანეთი	—
16554	413*)	50 მანეთი	—
16560	231*)	მაცივარი „ზილი"	370—00
16591	277*)	20 მანეთი	—
16602	441*)	30 მანეთი	—
16635	481*)	25 მანეთი	—
16648	374*)	30 მანეთი	—
16650	402*)	50 მანეთი	—
16655	407*)	30 მანეთი	—
16662	301*)	30 მანეთი	—
16675	210*)	25 მანეთი	—
16677	306*)	20 მანეთი	—
16684	276*)	20 მანეთი	—
16700	476*)	20 მანეთი	—
16701	145*)	25 მანეთი	—
16708	381*)	30 მანეთი	—
16711	123*)	ელექტროსამოვარი	21—00
16716	284*)	20 მანეთი	—
16721	278*)	500 მანეთი	—
16743	117*)	25 მანეთი	—
16747	382*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
16758	376*)	მაცივარი „ზილი"	370—00
16763	193*)	30 მანეთი	—
16770	425*)	30 მანეთი	—
16772	442*)	20 მანეთი	—
16776	170*)	ავტომობილი „ჟიგული-2101"	6600—00
16788	311*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
16796	261*)	20 მანეთი	—
16797	089*)	20 მანეთი	—
16810	404*)	30 მანეთი	—
16827	140*)	30 მანეთი	—
16836	478*)	30 მანეთი	—
16838	068*)	45 მანეთი	—
16839	379*)	20 მანეთი	—
16840	337*)	100 მანეთი	—
16841	139*)	20 მანეთი	—
16850	069*)	30 მანეთი	—
16860	218*)	ელექტროსამოვარი	21—00
16861	349*)	25 მანეთი	—
16868	277*)	30 მანეთი	—
16881	052*)	20 მანეთი	—
16890	056*)	20 მანეთი	—
16918	226*)	მაცივარი „ზილი"	370—00
16931	472*)	50 მანეთი	—
16943	472*)	20 მანეთი	—
16973	078*)	20 მანეთი	—
16974	217*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
16977	212*)	მაცივარი „ზილი"	370—00
16985	092*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
16987	213*)	20 მანეთი	—
16992	271*)	ელექტროსამოვარი	21—00
16996	012*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
17014	220*)	25 მანეთი	—
17033	257*)	25 მანეთი	—
17049	380*)	20 მანეთი	—
17050	228*)	40 მანეთი	—
17056	412*)	25 მანეთი	—
17065	130*)	ელექტროსამოვარი	21—00
17080	263*)	ავტომობილი „ჟიგული-21011"	7800—00
17085	254*)	25 მანეთი	—
17088	204*)	30 მანეთი	—
17102	381*)	45 მანეთი	—
17115	182*)	ელექტროსამოვარი	21—00
17123	187*)	30 მანეთი	—
17132	029*)	25 მანეთი	—
17135	149*)	25 მანეთი	—
17164	200*)	ავტომანქანა „ჟიგული-2101"	6600—00
17175	024*)	40 მანეთი	—
17186	269*)	30 მანეთი	—
17194	488*)	30 მანეთი	—
17206	274*)	100 მანეთი	—
17212	066*)	20 მანეთი	—
17214	165*)	20 მანეთი	—
17229	402*)	50 მანეთი	—
17231	444*)	50 მანეთი	—
17232	128*)	25 მანეთი	—
17254	154*)	ელექტროსამოვარი	21—00
17276	269*)	25 მანეთი	—
17279	310*)	30 მანეთი	—
17290	406*)	45 მანეთი	—
17297	193*)	20 მანეთი	—
17299	175*)	30 მანეთი	—
17318	058*)	ხალიჩა	456—00
17319	390*)	30 მანეთი	—
17322	067*)	30 მანეთი	—
17325	349*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
17338	090*)	45 მანეთი	—
17340	393*)	25 მანეთი	—
17352	152*)	40 მანეთი	—
17355	445*)	მაცივარი „ზილი"	370—00
17360	387*)	100 მანეთი	—
17362	199*)	მტვერსასრუტი	37—00
17378	068*)	ავტომანქანა „ჟიგული-2101"	6600—00
17402	061*)	გაზქურა „ბრესტი"	180—00
17404	155*)	30 მანეთი	—
17412	097*)	მტვერსასრუტი	37—00
17428	364*)	30 მანეთი	—
17433	1—500	10 მანეთი	—
17435	058*)	30 მანეთი	—
17455	117*)	20 მანეთი	—
17479	270*)	30 მანეთი	—
17485	097*)	100 მანეთი	—
17499	295*)	ელექტროსამოვარი	21—00
17513	201*)	50 მანეთი	—
17514	278*)	45 მანეთი	—
17529	255*)	30 მანეთი	—
17530	248*)	20 მანეთი	—
17534	121*)	25 მანეთი	—
17551	398*)	100 მანეთი	—
17580	172*)	25 მანეთი	—
17590	283*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
17596	307*)	30 მანეთი	—
17616	011*)	კონდიციონერი	337—00
17627	147*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
17635	1—500	15 მანეთი	—
17645	312*)	30 მანეთი	—
17679	499*)	100 მანეთი	—
17680	419*)	30 მანეთი	—
17716	359*)	45 მანეთი	—
17730	237*)	25 მანეთი	—
17741	278*)	ელექტროსამოვარი	21—00
17773	124*)	20 მანეთი	—
17817	013*)	მტვერსასრუტი	37—00
17820	078*)	100 მანეთი	—
17827	034*)	100 მანეთი	—
17840	416*)	ელექტროსამოვარი	21—00
17846	206*)	50 მანეთი	—
17847	354*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
17897	457*)	30 მანეთი	—
17905	064*)	25 მანეთი	—
17907	159*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
17923	294*)	გაზქურა „ბრესტი"	180—00
17925	288*)	20 მანეთი	—
17934	261*)	მტვერსასრუტი	37—00
17956	091*)	ავტომანქანა „ჟიგული-21011"	7800—00
17962	255*)	30 მანეთი	—
17963	024*)	30 მანეთი	—
17974	229*)	კონდიციონერი	337—00
17990	114*)	20 მანეთი	—
17994	201*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	2125—00
18008	042*)	40 მანეთი	—
18017	326*)	ფოტოაპარატი „ზენიტი"	101—00
18025	141*)	45 მანეთი	—
18032	232*)	40 მანეთი	—
18050	422*)	20 მანეთი	—
18058	249*)	30 მანეთი	—
18064	190*)	20 მანეთი	—
18070	198*)	კონდიციონერი	337—00
18087	038*)	30 მანეთი	—
18099	113*)	40 მანეთი	—
18100	045*)	20 მანეთი	—
18135	131*)	20 მანეთი	—
18141	363*)	45 მანეთი	—
18152	222*)	50 მანეთი	—
18153	364*)	20 მანეთი	—
18208	358*)	20 მანეთი	—
18226	1—500	10 მანეთი	—
18230	292*)	20 მანეთი	—
18242	132*)	20 მანეთი	—
18250	225*)	20 მანეთი	—
18264	424*)	40 მანეთი	—
18267	013*)	30 მანეთი	—
18279	160*)	25 მანეთი	—
18281	359*)	25 მანეთი	—
18287	369*)	ელექტროსამოვარი	21—00
18305	022*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106"	9100—00
18367	218*)	20 მანეთი	—
18372	385*)	30 მანეთი	—
18376	016*)	ავტომანქანა „ჟიგული-21011"	7800—00
18387	329*)	25 მანეთი	—
18398	478*)	45 მანეთი	—
18400	465*)	კონდიციონერი	337—00
18407	091*)	მაცივარი „ზილი"	370—00
18409	390*)	25 მანეთი	—
18411	462*)	20 მანეთი	—
18415	180*)	20 მანეთი	—
18433	425*)	20 მანეთი	—
18438	333*)	მტვერსასრუტი	37—00
18465	161*)	25 მანეთი	—
18476	202*)	ელექტროსამოვარი	21—00
18488	405*)	100 მანეთი	—
18489	042*)	30 მანეთი	—
18508	345*)	30 მანეთი	—
18515	148*)	40 მანეთი	—
18523	008*)	25 მანეთი	—
18526	419*)	20 მანეთი	—
18530	489*)	20 მანეთი	—
18536	197*)	45 მანეთი	—
18543	336*)	მტვერსასრუტი	37—00
18556	279*)	30 მანეთი	—
18558	011*)	20 მანეთი	—
18565	427*)	25 მანეთი	—
18582	452*)	30 მანეთი	—
18643	047*)	30 მანეთი	—
18659	329*)	20 მანეთი	—
18661	367*)	ელექტრომიქსერი	24—00
18662	081*)	მაცივარი „ზილი"	370—00
18674	096*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
18675	353*)	30 მანეთი	—
18676	044*)	30 მანეთი	—
18679	316*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106"	9100—00
18680	461*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
18692	222*)	25 მანეთი	—
18695	196*)	მტვერსასრუტი	37—00
18699	011*)	30 მანეთი	—
18709	050*)	20 მანეთი	—
18722	464*)	20 მანეთი	—
18734	217*)	25 მანეთი	—
18751	098*)	25 მანეთი	—
18781	457*)	45 მანეთი	—
18796	173*)	20 მანეთი	—
18797	006*)	25 მანეთი	—
18811	467*)	25 მანეთი	—
18815	090*)	მტვერსასრუტი	37—00
18826	275*)	100 მანეთი	—
18843	293*)	45 მანეთი	—
18872	087*)	ფოტოაპარატი „ზენიტი"	101—00
18873	441*)	მაცივარი „ზილი"	370—00
18875	237*)	20 მანეთი	—
18883	413*)	20 მანეთი	—
18891	010*)	100 მანეთი	—
18892	165*)	30 მანეთი	—
18893	487*)	მაცივარი მინსკი"	375—00
18917	323*)	ელექტროსამოვარი	21—00
18937	442*)	20 მანეთი	—
18948	349*)	30 მანეთი	—
18953	328*)	25 მანეთი	—
18954	400*)	20 მანეთი	—
18956	307*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
18965	192*)	მტვერსასრუტი	37—00
18976	087*)	30 მანეთი	—
18977	386*)	მტვერსასრუტი	37—00
18978	058*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
18982	089*)	45 მანეთი	—
18986	009*)	30 მანეთი	—
19001	065*)	50 მანეთი	—
19008	234*)	30 მანეთი	—
19019	343*)	20 მანეთი	—
19027	252*)	25 მანეთი	—
19045	182*)	20 მანეთი	—
19052	214*)	50 მანეთი	—
19062	066*)	30 მანეთი	—
19073	171*)	30 მანეთი	—
19096	241*)	45 მანეთი	—
19101	343*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
19113	474*)	30 მანეთი	—
19135	461*)	მტვერსასრუტი	37—00
19137	470*)	20 მანეთი	—
19140	180*)	20 მანეთი	—
19158	146*)	30 მანეთი	—
19159	110*)	20 მანეთი	—
19165	125*)	30 მანეთი	—
19166	125*)	30 მანეთი	—
19170	002*)	ელექტროსამოვარი	21—00
19183	056*)	30 მანეთი	—
19208	008*)	20 მანეთი	—
19214	087*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106"	9100—00
19222	447*)	25 მანეთი	—
19245	168*)	მტვერსასრუტი	37—00
19263	316*)	30 მანეთი	—
19267	154*)	ხალიჩა	456—00
19275	202*)	20 მანეთი	—
19286	464*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
19292	009*)	25 მანეთი	—
19305	456*)	50 მანეთი	—
19308	425*)	20 მანეთი	—
19331	171*)	მტვერსასრუტი	37—00
19335	298*)	30 მანეთი	—
19342	232*)	30 მანეთი	—
19348	337*)	100 მანეთი	—
19354	139*)	20 მანეთი	—
19364	163*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
19370	270*)	30 მანეთი	—
19380	428*)	25 მანეთი	—
19381	135*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
19385	053*)	20 მანეთი	—
19393	048*)	ხალიჩა	456—00
19395	088*)	ავტომანქანა „ჟიგული-21011"	7800—00
19401	011*)	100 მანეთი	—
19405	470*)	30 მანეთი	—
19407	382*)	50 მანეთი	—
19422	052*)	20 მანეთი	—
19423	360*)	40 მანეთი	—
19446	377*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
19448	330*)	მაცივარი „ზილი"	370—00
19451	283*)	ელექტრომიქსერი	24—00
19463	416*)	30 მანეთი	—
19468	006*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
19469	139*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
19477	107*)	100 მანეთი	—
19478	164*)	25 მანეთი	—
19479	462*)	20 მანეთი	—
19489	107*)	45 მანეთი	—
19499	488*)	25 მანეთი	—
19500	191*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
19519	153*)	30 მანეთი	—
19521	186*)	ფოტოაპარატი „ზენიტი"	101—00
19522	158*)	50 მანეთი	—
19527	097*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
19533	460*)	ხორცის ელექტროსაკეპი	25—00
19563	395*)	30 მანეთი	—
19566	457*)	20 მანეთი	—
19589	256*)	30 მანეთი	—
19619	128*)	50 მანეთი	—
19620	161*)	30 მანეთი	—
19642	142*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
19646	284*)	30 მანეთი	—
19651	141*)	30 მანეთი	—
19659	040*)	30 მანეთი	—
19670	455*)	20 მანეთი	—
19683	422*)	ხალიჩა	456—00
19685	162*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
19693	357*)	გაზქურა „ბრესტი"	180—00
19694	445*)	30 მანეთი	—
19695	055*)	30 მანეთი	—
19707	394*)	45 მანეთი	—
19731	291*)	20 მანეთი	—
19736	198*)	50 მანეთი	—
19737	254*)	30 მანეთი	—
19748	1-500	15 მანეთი	—
19755	315*)	20 მანეთი	—
19761	090*)	ავტომანქანა „ვოლგა" გაზ-24	15000—00
19763	228*)	კონდიციონერი	337—00
19767	455*)	20 მანეთი	—
19768	143*)	მტვერსასრუტი	37—00
19769	319*)	მაცივარი „ზილი"	370—00
19772	015*)	ელექტროსამოვარი	21—00
19779	297*)	30 მანეთი	—
19781	177*)	30 მანეთი	—
19788	110*)	45 მანეთი	—
19790	255*)	20 მანეთი	—
19794	410*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
19808	458*)	20 მანეთი	—
19811	121*)	30 მანეთი	—
19824	347*)	მაცივარი „ზილი"	370—00
19825	381*)	25 მანეთი	—
19826	407*)	20 მანეთი	—
19834	369*)	25 მანეთი	—
19835	146*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
19846	305*)	25 მანეთი	—
19852	154*)	50 მანეთი	—
19860	198*)	25 მანეთი	—
19862	098*)	30 მანეთი	—
19875	194*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106"	9100—00
19889	396*)	25 მანეთი	—
19891	163*)	20 მანეთი	—
19892	217*)	100 მანეთი	—
19899	384*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
19903	299*)	20 მანეთი	—
19928	367*)	მაცივარი „ზილი"	370—00
19953	350*)	40 მანეთი	—
19958	084*)	30 მანეთი	—
19960	446*)	250 მანეთი	—
19969	455*)	30 მანეთი	—
19974	078*)	ავტომანქანა „ჟიგული-2101"	6600—00
19975	180*)	20 მანეთი	—
19976	064*)	100 მანეთი	—
19989	088*)	20 მანეთი	—
19999	241*)	45 მანეთი	—

* **შენიშვნა**: ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს.

თუ სვეტში — „ბილეთის ნომერი" აღნიშნულია 1—500, ეს ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების მოცემული სერიის ხუთასსავე ნომერს.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი გაიცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულადი მოგება, ხოლო მიმღებთა სურვილით მოგებული ნივთის ნაცვლად 100 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულება შეუძლიათ მიიღოთ საქართველოს ნებისმიერ შემნახველ სალაროში. 100 მანეთზე მეტ მოგებას გასცემენ ცენტრალური და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში.

მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს, ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელსა და თავისი ბინის ზუსტ მისამართს. დიდგაბარიტიან საგნებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

3. მოგებულ ნივთებს მაღაზიები გასცემენ მას შემდეგ, როცა მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთი შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. თუ ლატარიაში გათამაშებულ ცალკეულ საგნებს წარმოება აღარ უშვებს, საგნის ღირებულება მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთის მფლობელს ნაღდ ფულად მიეცემა.

5. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეგიძლიათ წარადგინოთ გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1983 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით). ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთი ძალას კარგავს და გასანაღდებლად აღარ მიიღება.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება ან ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, წყალტუბოს და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი სალაროები მოგებული ნივთის გამოსათხოვად მიიღებენ აგრეთვე ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება აგრეთვე ქ. თბილისის ყველა ცენტრალურ შემნახველ სალაროში და სხვა დიდი ქალაქების ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

კომისიის თავმჯდომარე — ქ. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — **დ. დ. მელქაძე.**

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი — **თ. დ. ჭავჭავაძე.**

პასუხისმგებელი მდივანი — სსრ კავშირის სახშრომშემსალაროების საქართველოს მთავარი რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი — **მ. გ. მჭედლიშვილი.**

ტელევიზია

29 ივნისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია", 9.45 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. დამთავრების შემდეგ და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — ოთხმოციანი წლების კომუნისტები. დოკუმენტური ფილმები, 16.40 — ფილმი — ბავშვებს. „საბინა" (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), 17.55 — საჭადრაკო სკოლა, 18.25 — „მიწის ერთგულება", საბჭოთა სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის შესახებ, 19.15 — საუბარი მხატვრებზე. როკუელ კენტი, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — ხალხური მელოდიები, 20.15 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, 22.00— „ვრემია", 22.35 — მეგობართა სახეები, 23.20 — პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VII საერთაშორისო კონკურსის დღიური, 24.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, 00.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში, 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმები, 10.05 — მხატვრული ტელეფილმი „ნდობა". I სერია, 11.10 — რას და როგორ ასწავლიან პროფტექნიკურ სასწავლებლებში. „ჩვენ რკინიგზელები ვართ". ქალაქ სვერდლოვსკის № 61 პროფტექნიკური სასწავლებლის შესახებ, 11.40 — ფრანგული ენა, 12.10 — პოლიტიკა და დემოგრაფიის საკითხები, 12.40 — ფილმი — ბავშვებს. „პოლკის შვილი". I სერია, 13.45 — შორეული და ახლობელი სიმღერა, 14.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, 15.15 — „ა. ი. გერცენი. ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები", 16.00 — მღერის ე. ცელოვალნიკი, 16.20, 19.00 — ახალი ამბები, 19.20 — ერთი კვირის სპორტული ამბები, 19.50 — რჩევა-დარიგებანი და ცხოვრება. მონაწილეობს ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ი. სტრაუტმანისი, 20.20 — დოკუმენტური ფილმი, 20.30 — ტელეჟურნალი „თანამეგობრობა", 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!", 21.15— პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VII საერთაშორისო კონკურსი, 22.00 — „ვრემია", 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „ნდობა". II სერია.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.45 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. განმეორებით (მ.), 12.20 — „მოამბე", 12.50 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის — „ცისკარა": მულტიპლიკაციური ფილმი და ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სუფთა დაფა", 13.30 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 16.50 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 17.20 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — კონცერტი, 18.05 — „უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ" — (სტუდიაშია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ვ. მეტრეველი), 18.20 — გადაცემა „ტრადიცია, რიტუალი, განწყობილება", 19.10 — ახალგაზრდობისათვის — „ერთი დღე ქუთაისელ ფეიქრებთან", 19.45 — „მოამბე", 20.15 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში (გადმოცემა ესპანეთიდან), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — კონცერტი, 23.45 — ახალი ამბები, 24.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში (გადმოცემა ესპანეთიდან).

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.40 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 18.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „36 სიხარული", 19.25 — განცხადებები, 19.30 — მხატვრული ფილმი „მიიღეთ ტელეგრამა ნისიად".

თეატრი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა (26-ე აბონ. IV წარმ.); მეტეხის თეატრი — ეძიებდე (პრემიერა).

КОМУНИСТИ ИНДЕКС უე 08366 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20